დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ,,საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორი“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30 და 31 მარტი, 2023 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 15.05.2023 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ,,საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორი“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	416361699

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ქალაქი რუსთავი, შარტავას გამზირი N19 (XX მ/რ N5), ნახევარსარდაფი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, საირმის ქუჩა N39
საფოსტო ინდექსი	0194
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.projector-school.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	info@p-s.ge
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 599 699 108

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ანნა პუჩკოვა
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 599 699 108
ელ-ფოსტა	info@p-s.ge

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 09/03/2023 წლის ბრძანება MES 3 23 0000273678 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და „შპს საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორში“-ში ვიზიტის შესახებ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	30 და 31 მარტი, 2023წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ხათუნა ბარაბაძე
წევრი (სახელი, გვარი)	ლელა ჯაში

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი/ქვესტანდარტი		**ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი**	**სტანდარტი დაკმაყოფილებულია**	**სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული**
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☒
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☐	☒
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	☒
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☐	☒
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☐	☒
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☐	☒

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	☒
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	☒
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☐	☒
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას			

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***ხარვეზი***
ქვესტანდარტი	*1.2.*	*სკოლას არ აქვს გათვალისწინებული შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი დაწყებით კლასებში (I-IV კლასი, V კლასის I სემესტრი). შესაბამისად, ვერ განხორციელდება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასი, V კლასის I სემესტრი) სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება შემაჯამებელი დავალებებით.* *ექსპერტებმა განიხილეს სკოლის საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ნიმუშები - რომლებიც შედგენილი უნდა ყოფილიყო სკოლის მიეს შერჩეული პედაგოგების მიერ. თუმცა, როგორც გასაუბრების საფუძველზე გაირკვა, მათი ნაწილი არ ფლობდა ინფორმაციას წარმოდგენილი მასალის შინაარსის შესახებ. ექსპერტების ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ კათედრის დებულებაში და კურიკულუმებში, სილაბუსებში და თემატურ გეგმებში (სულ 8) იკითხებოდა ერთ-ერთი სკოლის სახელწოდება, რამაც გაუჩინა მათ ეჭვი, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა პლაგიატს.*
	1.4.	*სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი) შეფასების ნაწილში სხვადასხვა პუნქტში წარმოდგენილი რეგულაციები ეწინააღმდეგება ერთმანეთს.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		სკოლა საშინაო დავალების კომპონენტში გეგმავს გამოიყენოს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება (რაც დადასტურდა სასკოლო-სასწავლო გეგმით და პედაგოგებთან გასაუბრებით). აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' 32-ე მუხლის 3 პუნქტით წარმოდგენილ რეგულაციებს.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.1*	*დარღვეულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა" (სნ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ თავი III. საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობები, 2. ბავშვთა და სასკოლო დაწესებულებების სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს 3 მიწისზედა სართულს.*
	2.3.	*სკოლამ სრულად არ აქვს აღჭურვილი სასკოლო ბიბლიოთეკა გრიფირებული სახელმძღვანელოებით (რუსული სექტორისთვის), სრულად არ აქვს აღრიცხული და დამუშავებული არსებული წიგნადი ფონდი კანონით დადგენილი წესით (არ არის მინიჭებული საინვენტარო ნომერი, არ არის დამოწმებული შესაბამის გვერდზე ბეჭდით და ა.შ).*
	2.6.5	*სკოლის შენობის შიდა პერიმეტრი (კიბის უჯრედები) სრულად ვერ კონტროლდება;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.2.*	*დარღვეულია მასწავლებელთა შერჩევის წესი;*
	3.4	*დარღვეულია მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების წესი;*

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***რეკომენდაცია***
ქვესტანდარტი	*1.2.*	*სკოლის მიეცა რეკომენდაცია ტუტორის დებულების 3.22 პუნქტი მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' მე - 19 მუხლის მე - 4 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით დადგენილ რეგულაციასთან.*
	1.4.	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი) დანართად წარმოდგენილ ანალიტიკურ და ჰოლისტურ რუბრიკებში, შეფასებების ვალიდურობის და გამჭირვალობის მიზნით, კორექტირებულ იქნას ხარისხობრივი დონეები. გაიმიჯნოს ერთმანეთისგან მოსწავლის დადებითი და უარყოფით შეფასება (,,4-5" ქულა).* *სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოეყვანა შესაბამისობაში სკოლის სემესტრული გამოცდების ჩატარების ვადები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის '' 36-ე მუხლით წარმოდგენილ რეგულაციებთან. *რეკომენდაციით მიმართეს ექსპერტებმა სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმის (პროექტი) 3.8.6. მუხლის კორექტირებასთან დაკავშირებით - ,,მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება", რეკომენდაციის საფუძველი: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მე -9 მუხლი, 7 პუნქტი - ,,დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით".*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.1.*	*V სართულზე განთავსებულ ერთ საკლასო ოთახს აივანზე გასასვლელი კარები არ ეკეტებოდა. სკოლას მიეცე რეკომენდაცია, მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კარებზე დამონტაჟდეს საკეტი.*
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.4.*	*მასწავლებლებმა წარმოადგინონონ „უფლების ჩამორთმევის შსახებ" ცნობები*

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების მისია	პროექტორი მანათობელი მოწყობილობაა, რომელიც მრგვალი ლინზით გადასცემს სინათლეს და არის სიმბოლო იმისა, თუ როგორ უნდა გადასცემდეს სკოლა ცოდნის სინათლეს მოსწავლეებს და მოუტანოს მათ სამყაროს სიხარული; სკოლის მისიაა აღძრას ბავშვებში ცნობისმოყვარეობა, მიიპყროს მათი ყურადღება, მოხიბლოს ისინი უამრავი სამეცნიერო დარგით; უცხოენოვან ბავშვებს შეასწავლოს ქართული ენა, გააცნოს საქართველოს ისტორია, კულტურა, ტრადიციები და სოციალური ცხოვრება, ჩაუნერგოს მოსწავლეებს სიყვარული ამ ქვეყნის მიმართ; აღზარდოს პატრიოტი, ტოლერანტი მოქალაქეები, რომლებიც პატივს სცემენ სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს განურჩევლად ეროვნული და ეთნიკური კუთვნილებისა, მრწამსისა და რელიგიური შეხედულებებისა. სკოლა ზრუნავს საკუთარ მოსწავლეებს განუვითაროს ე.წ. „რბილი უნარები“, ემოციური ინტელექტი, სწავლის სწავლების უნარი, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარი. სკოლის მისიაა, ორივე სექტორის კურსდამთავრებულებმა თანაბრად შეძლონ ქართულ საზოგადოებასთან სრული ინტეგრაცია და ამავდროულად, იყვნენ კონკურენტუნარიანები საერთაშორისო ბაზარზე.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტი ეთანხმება	აღწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	☒	***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ (შემდგომში სკოლა/დაწესებულება) სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილია 3 თავი. კერძოდ: **თავი I - საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება,** რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის მისიის და ხედვის, სწავლა-სწავლების მიზნების, საგანმანათლებლო პრინციპებისა და მეთოდური ორიენტირების შესახებ. განსაზღვრავს ენობრივი განათლების საკითხებს არაქართულენოვან (რუსულ) სექტორზე. გარდა ამისა, სასწავლო წლის კალენდარს სკოლაში, მოსწავლეთა რაოდენობას კლასებში და დისტანციური სწავლების ორგანიზებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაკავშირებულ საკითხებს (უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი, ნაკლებად აქტუალურია მიმდინარე სასწავლო წელს). სკოლის მისიიდან ირკვევა, თუ რატომ ფიგურირებს სკოლის სახელწოდებაში ტერმინი ,,პროექტორი“ - ცოდნის გადაცემა და მოსწავლეთა დაინტერესება სხვადასხვა დარგით დაწესებულების მთავარი დანიშნულებაა. მისიაში აქცენტი კეთდება უცხოენოვან მოსწავლეებზე - სკოლა ვალდებულებას იღებს ,,ჩაუნერგოს მოსწავლეებს სიყვარული ამ ქვეყნის მიმართ“, რაც ასახვას ჰპოვებს სასკოლო-სასწავლო გეგმაში. სკოლის პრიორიტეტია სახელმწიფო ენაზე მეტყველების განვითარება. შესაბამისად, როგორც სასკოლო-სასწავლო გეგმიდან (პროექტი) ირკვევა, არაქართულენოვან (რუსულ) სექტორზე ჩაირიცხებიან და ისწავლიან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები. სკოლა მათ შესაძლებლობას მისცემს ასაკის შესაბამისად სახელმწიფო ენაზე დაეუფლონ შესაბამის დისციპლინებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქართული ენის (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) ხარისხიან შესწავლას და მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფას. სკოლას მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვს შემდეგი აქტივობები: 1. რუსულ სექტორზე, ქართული ენის სწავლების გაძლიერების მიზნით, დღის მეორე ნახევარში ჩატარდება დამატებითი მეცადინეობები. კერძოდ, I-IV კლასებში - კვირაში 1 საათიანი დატვირთვით, ხოლო, V-XII კლასში - კვირაში 2 საათიანი დატვირთვით. 2. რუსული სექტორის მოსწავლეებისათვის იგეგმება ქართული ენის სწავლების დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება. **სასწავლო წლის კალენდარი** სრულ შესაბამისობაშია საჯარო სკოლებისათვის განსაზღვრულ როგორც სასწავლო, ისე უქმე დღეების ოდენობასთან, ასევე, არდადეგების ხანგრძლივობასთან. კლასში მოსწავლეთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 13 მოსწავლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თავი II განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ასპექტებს. კერძოდ, **სასკოლო-საათობრივი ბადე** - შპს ,,საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორმა“ 2022 წლის 24 ოქტომბერს, წერილით N4/1 - მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საათობრივი ბადის პროექტის (III მოდელი) შეთანხმების თაობაზე. კერძოდ, ვინაიდან სკოლა გეგმავდა ავტორიზაციის პროცედურების გავლის შემდეგ საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყებას, სამინისტროში წარდგენილ იქნა შესაბამისი დასაბუთება, თუ როგორ შეუწყობდა ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტების შედეგების მიღწევას. სკოლის საათობრივ ბადეში შემდეგი ცვლილებებია - პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენა) საათობრივი დატვირთვა როგორც ქართულ, ისე რუსულ სექტორებზე ყველა კლასში გაზრდილია. მეორე უცხოური ენის სტატუსი ქართულ სექტორზე მინიჭებული აქვს რუსულ ენას და მისი სწავლება I-XII კლასებს მოიცავს. სკოლა ასევე სთავაზობს მოსწავლეებს დაწყებით საფეხურზე დამატებით სავალდებულო საგანს ,,ფსიქოლოგის საათი“. ორივე სექტორზე, სამივე საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს. დამატებითი სავალდებულო საგნების სტატუსი აქვთ აგრეთვე, ფიზიკას - XII კლასში (ორივე სექტორზე), გეოგრაფიას - ქართულ სექტორზე XII კლასში, ხოლო რუსულ სექტორზე VI და XII კლასებში, ისტორიას - VI კლასში (რუსულ სექტორზე). ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებითი სავალდებულო საგანია, პრაქტიკული მეცნიერება (ქიმია) - ქართულ სექტორზე, XII კლასში. საქართველის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის კორესპონდენციის MES 222 000 1465 368, 16.11.2022წ. საფუძველზე ირკვევა, რომ სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სკოლამ იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული ბადით (პროექტი). **საგანმანათლებლო რესურსები** - სასკოლო-სასწავლო გეგმის (პროექტი) დანართად, წარმოდგენილია გრიფმინიჭებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სახელმძღვანელოების ნუსხა სექტორების მიხედვით და დამატებითი საგანმანათლებლო მასალის ჩამონათვალი. სახელმძღვანელოების შერჩევა განხორციელდა კათედრის სხდომებზე, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით (საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრის სხდომის ოქმი N1, 19.12.2022წ., ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სხდომის ოქმი N1, 17.12.2022წ. და ა.შ.). შენიშვნა: სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტის II თავით წარმოდგენილი რეგულაციები (მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ინკლუზიური განათლება, ტუტორის სააღმზრდელო პროგრამა, საგნობრივი კათედრები, სასკოლო კურიკულუმი) განხილულ იქნება ქვევით. **თავი III - სასკოლო სასწავლო გეგმის სასკოლო საზოგადოებისათის გაცნობის წესებში** გაწერილია საკითხები, რომლებიც არეგულირებს დოკუმენტში შესწორებების და დამატებების შეტანის მექანიზმებს (უფლებამოსილი რგოლი - პედაგოგიური საბჭო), მისი გაცნობის წესებს (მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე) და ხელმისაწვდომობისა და საჯაროობის ასპექტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • საათობრივი ბადის (პროექტი) შეთანხმების კორესპონდენცია; • პედაგოგიური საბჭოს და კათედრის სხდომის ოქმები; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი) აზუსტებს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა შედეგების მიღწევის საშუალებებს. კერძოდ, სკოლას დოკუმენტის დანართად წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დავალებების რაოდენობა კლასებისა და სემესტრების მიხედვით, აგრეთვე, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და ანალიზის ფორმა, რომელიც გარდა რაოდენობრივი მონაცემებისა აღწერს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, ესგ-ს რომელ მისაღწევ შედეგზე გადის კონკრეტული შემაჯამებელი დავალება. ექსპერტებმა განიხილეს შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ამსახველი დოკუმენტი. როგორც გაირკვა, იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' 32 -ე მუხლის მე - 6 პუნქტით დადგენილი რეგულაციას, კერძოდ ,, I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება". **<u>სკოლას არ აქვს გათვალისწინებული შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი დაწყებით კლასებში (I-IV კლასი, V კლასის I სემესტრი).</u>** აღნიშნული დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი) 3.4. პუნქტითაც, სადაც წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების კომპონენტების ცხრილი. ასევე, დგინდება სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზეც. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **<u>ვერ განხორციელდება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასი, V კლასის I სემესტრი) სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება შემაჯამებელი დავალებებით.</u>** **ტუტორის სააღმზრდელო პროგრამას** სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი) მე-7 პუნქტშია წარმოდგენილი. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს ტუტორი, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს სკოლის დირექტორი. თითოეულმა ტუტორმა უნდა შეიმუშაოს სააღმზრდელო პროგრამა, სამუშაო გეგმა. ამასთან, ტუტორის საათის ჩატარება უნდა მოხდეს საგაკვეთილო პროცესის მიღმა. სკოლას შემუშავებული აქვს ტუტორის მუშაობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს ტუტორის ფუნქციებს, ტუტორის მუშაობის პრინციპებს, რეკომენდაციებს სააღმზრდელო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით. ექსპერტებმა განიხილეს ზემოაღნიშნულის დოკუმენტი. **<u>როგორც გაირკვა, ტუტორის ერთ-ერთი ფუნქციაა ,,ყოველი სემესტრის ბოლოს აცნობოს მშობლებს/მშობელს/კანონიერ</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>წარმომადგენელს მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ,, (პუნქტი 3.22), რაც არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' მე - 19 მუხლის მე - 4 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით დადგენილი რეგულაციასთან, კერძოდ ,,რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ".</u> მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით კათედრების მიერ ჩატარებული აქტივობები გაწერილია კათედრის მუშაობის დებულებაში. კერძოდ, დაწესებულებაში 5 **საგნობრივი კათედრაა.** 1. **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა,** რომლის შემადგენლობაში შედის საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა და ქართული, როგორც მეორე ენა; 2. **მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა,** რომლის შემადგენლობაში ერთიანდება შემდეგი საგნები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება, კომპიუტერული ტექნოლოგიები, არჩევითი საგანი: გარემო და მდგრადი განვითარება. 3. **საზოგადოებრივი მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის და სპორტის კათედრა,** რომლის შემადგენლობაში ერთიანდება შემდეგი საგნები: ისტორია, საქართველოს ისტორია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ჩვენი საქართველო, მოქალაქეობა/სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, არჩევითი საგანი: კულტურული მრავალფეროვნება. 4. **უცხოური ენების კათედრა,** რომლის შემადგენლობაში შედის საგნები: ინგლისური ენა, რუსული ენა და ეთნიკური უმცირესობის ენა (რუსული ენა); 5. **დაწყებითი (I-IV) კლასების კათედრა,** რომლის შემადგენლობაში შედის შემდეგი საგნები: I-IV კლასებში სასკოლო საათობრივი ბადით გათვალისწინებული საგნები, მათ შორის დამატებითი სავალდებულო საგნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგნობრივი კათედრების ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყონ სკოლაში სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლებას, აგრეთვე, სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების პრაქტიკაში დანერგვას. **<u>ექსპერტებმა განიხილეს სკოლის საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ნიმუშები - რომლებიც შედგენილი უნდა ყოფილიყო სკოლის მიერ შერჩეული პედაგოგების მიერ. თუმცა, როგორც გასაუბრების საფუძველზე გაირკვა, მათი ნაწილი არ ფლობდა ინფორმაციას წარმოდგენილი მასალის შინაარსის შესახებ. ექსპერტების ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ კურიკულუმებში, სილაბუსებში და თემატურ გეგმებში (სულ 8) იკითხებოდა ერთ-ერთი სკოლის სახელწოდება, რამაც გაუჩინა მათ ეჭვი, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა პლაგიატს.</u>** იგივე სკოლის სახელწოდება ფიქსირდება სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის დებულებაშიც. აღნიშნული ხარვეზი სკოლის განმარტებით, ტექნიკურ შეცდომას წარმოადგენდა. **<u>დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან, სწორედ შემაჯამებელის დავალებების შედეგების ანალიზი უქმნის გარკვეულ წარმოდგენას პედაგოგს/კათედრას - რამდენად არის დაძლეული სასწავლო ერთეული, რამდენად წარმოჩინდა სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და/ან უნარ-ჩვევები სასწავლო წლის კონკრეტულ ეტაპზე და შემდგომ, განსაზღვრავს მასწავლებლის ინტერვენციებს და მოსწავლეთა მხარდამჭერ მექანიზმებს - შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ სასკოლო სასწავლო არ გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა (დაწყებითი საფეხური, I-V კლასი) მოთხოვნებს.</u>**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • ტუტორის სააღმზრდელო პროგრამა; • კათედრის დებულება; • კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ნიმუშები, სილაბუსები, თემატური გეგმები; • ინტერვიუ სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს მრავალფეროვან, მათ ინტერესებზე მორგებულ დამატებით საგანმანალებლო მომსახურებას უფასო წრეების სახით, კერძოდ, პროგრამირება - V-XII კლასებში; გამოგონებები – III-VII კლასებში; რობოტიკა - III-IV კლასებში; კრეატიული აზროვნება - I-IV კლასებში; ქართული ენა - (რუსულ სექტორზე, კლასების მიხედვით დაყოფის გარეშე - ენობრივი ბარიერის გადალახვის და ახლადჩარიცხული მოსწავლეების მოკლე დროში ადაპტაციის მიზნით), ჭადრაკი - II-XII კლასებში; კულინარია - I-VII კლასებში; CLIL – ENGLISH I-X კლასებში; პროექტი -I-IV კლასში (საერთო პროექტზე მუშაობა) და XI კლასში (ინდივიდუალურ პროექტებზე მუშაობა, ორივე სექტორზე). სკოლაში იგეგმება შემდეგი კლუბების ფუნქციონირება: დებატების კლუბი, ინტელექტკლუბი - რა? სად? როდის?, სახელოსნო ART-სტუდია და ა.შ. სასკოლო-სასწავლო გეგმის (პროექტი) დანართის სახით, წარმოდგენილია ზემოაღნიშნული წრეების და კლუბების პროგრამები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სასკოლო-სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, მოსწავლეთათვის შეთავაზებული და მათ ინტერესებზე მორგებული მრავალფეროვანი აქტივობები (წრეები და კლუბები), დადებითად აისახება მათ განვითარებაზე. ინკლუზიური განათლება სასკოლო-სასწავლო (პროექტი) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და მასში განხილულია ყველა ის საკითხი/მექანიზმი, რომლითაც სკოლა იხელმძღვანელებს იმ შემთხვევაში, თუ ჩაირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტში დეტალურად არის განხილული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფის შემადგენლობა, წევრების ფუნქცია-მოვალეობები. მოცემულია ინფორმაცია სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების შესახებ. როგორც ირკვევა, იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში, მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების განრიგს, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება. სასკოლო- სასწავლო გეგმის (პროექტი) დანართად, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში; • წრეების და კლუბების პროგრამები; • ინტერვიუ პედაგოგებთან და დირექციასთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ სასკოლო სასწავლო გეგმით (პროექტი) დარეგულირებულია მოსწავლეთა შეფასების საკითხები. ექსპერტებმა დეტალურად განიხილეს შეფასების მექანიზმები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ: I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“, ასევე საგანში „ჭადრაკი“ (I კლასში - ქართულ სექტორზე) და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. **<u>სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი) სხვადასხვა პუნქტში წარმოდგენილი რეგულაციები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მაგალითად,</u>** **პუნქტი 3.4.2** ,,სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები) ფასდებიან თითოეულ კომპონენტში, რომელთაც აქვთ თანაბარი წონა“; ამავდროულად, **პუნქტი 3.4.3** - ის თანახმად, ,,ყველა კლასში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება“; **პუნქტი 3.8.1** - საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი: ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ქულათა რაოდენობაზე; **<u>სკოლა საშინაო დავალების კომპონენტში გეგმავს გამოიყენოს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება (რაც დაადატურეს პედაგოგებმა გასაუბრებისას), აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' 32-ე მუხლის 3 პუნქტით წარმოდგენილ რეგულაციებს.</u>** **<u>როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლა დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასი და V კლასის II სემესტრი) არ სთავაზობს მოსწავლეებს შემაჯამებელ დავალებებს, რაც აგრეთვე, შეფასების ნაწილში არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას (მუხლი 32, მე-6 პუნქტი).</u>** ექსპერტებმა განიხილეს სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი) დანართად წარმოდგენილი ანალიტიკური და ჰოლისტური რუბრიკები, სადაც შეფასების სკალაზე დატანილი ქულები შემდეგნაირად იყო გადანაწილებული -,,1-3“, ,,4-5“, ,,6-7“, ,,8-10“. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტებმა რეკომენდაციით მიმართეს სკოლის სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებს - ვინაიდან ,,4-5“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხარისხობრივი დონე მოსწავლის როგორც დადებით, ისე უარყოფით შეფასებას მოიცავდა და აღწერილობითი ნაწილი არ იძლეოდა შეფასების მკაფიო გამიჯვნის საშუალებას, მიზანშეწონილი იყო სკალაზე დატანილი ქულები გადანაწილებულიყო ისე, რომ დადებითი და უარყოფით შეფასებები დამოუკიდებლად, შესაბამისობაში ყოფილიყო კონკრეტულ, აღწერით ნაწილთან. **<u>გარდა ამისა, არ იყო შესაბამისობაში სკოლის სემესტრული გამოცდების ჩატარების ვადებიც, რაც ვიზიტის პერიოდში განემარტათ სკოლის წარმომადგენლებს (საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის ’’ 36-ე მუხლი).</u>** რეკომენდაციით მიმართეს ექსპერტებმა სკოლას სასკოლო-სასწავლო გეგმის (პროექტი) 3.8.6. მუხლის კორექტირებასთან დაკავშირებით - ,,მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება“, სადაც პირველი პუნქტის თანახმად, „წარჩინებულია მოსწავლე, რომელსაც აქვს შეფასების მაღალი დონე, არ აქვს დისციპლინური გადაცდომები“. რეკომენდაციის საფუძველი: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მე -9 მუხლი, 7 პუნქტი - ,,დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით“. სკოლის წარმომადგენლებმა გაიზიარეს ექსპერტების პოზიცია. **<u>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.</u>**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი; • ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „საგანმანათლებლო ცენტრ სკოლა პროექტორს“ შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის შესახებ დებულება“, რომლის მიზნებია მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა დროული ინფორმირება სკოლის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებების, დისციპლინური ნორმებისა და შეფასების ინსტრუმენტების თაობაზე, მოსწავლეთათვის ხელშეწყობა მასწავლებლებთან, თანატოლებთან და საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, სკოლის მიმართ მოსწავლეთა კეთილგანწყობილი, პასუხისმგებლობით აღსავსე და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება და ა.შ. დოკუმენტში წარმოდგენილია მშობლის უფლება მოვალეობები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის წესი. როგორც ირკვევა, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოხდება შემდეგი საშუალებ(ებ)ით: ელექტრონული ჟურნალი, საინფორმაციო ნიშნების ფურცლები, მათთან ინდივიდუალური შეხვედრები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, SMS შეტყობინება, საგნის მასწავლებელთან ინდივიდუალურ შეხვედრა და სატელეფონო ზარი. თავის მხრივ, ტუტორი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს/მოსწავლეს მიაწოდოს ინფორმაცია და გააცნოს შემდეგი დოკუმენტები: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, სახელმძღვანელოების ნუსხა, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა, სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობის შესახებ ინფორმაცია. წესის მე - 8 მუხლი ავალდებულებს სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის როლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლის განათლებასა და აღზრდაში, მოსწავლესთან ეფექტური კომუნიკაცია, ძალადობა (მათ შორის, ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და ა.შ. სკოლა გამოიყენებს ელექტრონულ ჟურნალს EDUPAGE, რომელიც მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციას ეფექტურს და ხელმისაწვდომს გახდის. ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მოსწავლეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან კომუნიკაციის შესახებ დებულება; • ხელშეკრულება ელექტრონულ ჟურნალს EDUPAGE - ის გამოყენების შესახებ; • სკოლასა და მშობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ დირექტორის 2022 წლის 31 ოქტომბრის N1/25 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტის პირველი თავი განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის არსს და მონიტორინგის მნიშვნელობას. სწავლის ხარისხის შეფასების წიკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: • დაგეგმე - გულისხმობს სასწავლო პროცესის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით და თანმიმდევრობით, რომელი კრიტერიუმით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. • განახორციელე - სწავლების ხარისხის შეფასებას განახორციელებს სკოლის აკადემიური დირექტორი სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომლებთან და საგნობრივ კათედრებთან მჭიდრო კომუნიკაციის საფუძველზე; • შეამოწმე - განხორციელებულ აქტივობებს შეამოწმებს სკოლის აკადემიური დირექტორი, დირექტორის მოადგილესთან ერთად და შედეგებს გააცნობს სკოლის დირექტორს. წამოჭრილი პრობლემები განხილული იქნება პედაგოგიურ საბჭოზეც; • განავითარე - სკოლის აკადემიური დირექტორი/დირექტორის მოადგილე სკოლის დირექტორთან შეთანხმებით განსაზღვრავს ნაკლოვანებების მიზეზს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს. სკოლა გეგმავს სასკოლო-სასწავლო გეგმის მონიტორინგი განახორციელოს წლის ბოლოს. სასკოლო-სასწავლო გეგმის თითოეული ნაწილი შეფასდება წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების საფუძველზე. როგორც ირკვევა, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის დირექტორი. როგორც ცნობილია, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები მასწავლებლების, ტუტორების, კათედრის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის მიერ მოგროვილ და გაანალიზებულ მონაცემებს უნდა დაეყრდნოს. მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება განსაზღვრავს. ჯგუფის ფუნქციებია: • სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; • მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა; • სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება. • სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. წესში დეტალურად არის აღწერილი მასწავლებლის საქმიანობის შეფასების და მისი პროფესიული განვითარების მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები, რაც უდავოდ (განხორციელების შემთხვევაში), დადებით აისახება სკოლის განვითარებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორის“ დირექტორის 2022 წლის 31 ოქტომბრის N1/25 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. • სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაც განსაზღვრავს.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	*რეკომენდირებულია სკოლამ გაითვალისწინოს შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი დაწყებით კლასებში (I-IV კლასი, V კლასის I სემესტრი), რათა განხორციელდეს დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასი, V კლასის I სემესტრი) სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება შემაჯამებელი დავალებებით.* *სკოლას მიეცა რეკომენდაცია შერჩეული მასწავლებლების ჩართულობით, საგნობრივ კათედრებზე შეიმუშავოს ახალი და/ან განიხილოს უკვე არსებული საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ნიმუშები.* *მნიშვნელოვანია, სასკოლო-სასწავლო გეგმის (პროექტი) შეფასების ნაწილში წარმოდგნილი რეგულაციები არ ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს და მოქმედ კანონმდებლობას.* *სკოლამ საშინაო დავალების კომპონენტში, შესაბამის კლასებში, გამოიყენოს განმსაზღვრელი შეფასება.*
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	*სკოლას არ აქვს გათვალისწინებული შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი დაწყებით კლასებში (I-IV კლასი, V კლასის I სემესტრი).* *ექსპერტებმა განიხილეს სკოლის საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების ნიმუშები - რომლებიც შედგენილი უნდა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ყოფილიყო სკოლის მიერ შერჩეული პედაგოგების მიერ. თუმცა, როგორც გასაუბრების საფუძველზე გაირკვა, მათი ნაწილი არ ფლობდა ინფორმაციას წარმოდგენილი მასალის შინაარსის შესახებ. ექსპერტების ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ კათედრის დებულებაში და კურიკულუმებში, სილაბუსებში და თემატურ გეგმებში (სულ 8) იკითხებოდა ერთ-ერთი სკოლის სახელწოდება, რამაც გაუჩინა მათ ეჭვი, რომ შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა პლაგიატს. *სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი) შეფასების ნაწილში სხვადასხვა პუნქტში წარმოდგენილი რეგულაციები ეწინააღმდეგება ერთმანეთს.* *სკოლა საშინაო დავალების კომპონენტში გეგმავს გამოიყენოს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება (რაც დაადასტურეს პედაგოგებმა გასაუბრებისას), აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' 32-ე მუხლის 3 პუნქტით წარმოდგენილ რეგულაციებს.*
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „საგანმანათლებლო ცენტრი სკოლა პროექტორი“ მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, საირმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ქუჩა N39, არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე, საერთო ფართით 670,00 კვ.მ. სკოლის შენობა სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმა) გადაცემული აქვს შპს ,,საგანმანათლებლო ცენტრს სკოლა პროექტორს“ მეიჯარესგან - შპს ,,ანნ“ - 01.08.2022 წლიდან - 01.10.2029 წლამდე. სკოლის შენობა-ნაგებობა 6 სართულიანია, საერთო ფართით 3027,77 კვ.მ (მათ შორის I სართული 402,27კვ.მ, II სართული 429,38 კვ.მ; III სართული - 356,87 კვ.მ, IV სართული 360,17 კვ.მ, V სართული 362,39 კვ.მ, VI სართული 378,65 კვ.მ. ტერასა - 373,33 კვ.მ, სარდაფი 85,37 კვ.მ, ნახევრადსარდაფი - 279,14 კვ.მ). ***ამით დარღვეულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (ᲡᲜ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ თავი III. საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობები, 2. ბავშვთა და სასკოლო დაწესებულებების სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს 3 მიწისზედა სართულს.*** სასწავლო პროცესი მიმდინარეობს III – V სართულებზე (სულ, 27 საკლასო ოთახი). შენობის შესვლა საირმის ქუჩიდან ხორციელდება, და სართულების საირმის ქუჩიდან ათვლის შემთხვევაში, სასწავლო პროცესი, II – V სართულზე მიმდინარეობს. საირმის ქუჩის შესასვლელიდან შენობაში მოხვედრა დაცვის სამსახურის თანამშრომლის გავლით არის შესაძლებელი. შენობის შესასვლელი კარი მასიური რკინის ნაკეთობაა, რომელიც მოსწავლეთა უსაფრთხოებას სრულად უზრუნველყოფს. დაცვის თანამშრომელთან განთავსებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. აღნიშნულ სართულზე განთავსებულია ფართე ფოიე, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ფსიქოლოგის და ადმინისტრაციული კაბინეტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის III სართულზე 8 საკლასო ოთახია განთავსებული. ეს ოთახები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის არის განკუთნილი. ოთახები ნათელი და კომფორტულია. თითოეულ ოთახს აქვს თავისი სველი წერტილი (სულ 4), მათგან 2 - ში მხოლოდ ხელსაბანებია განთავსებული. საკლასო ოთახებს აქვთ აივანი/ვერანდა, რომელზე გასასვლელი კარები იკეტება გასაღებით. საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი მერხებით და დაფებით. ერთ საკლასო ოთახში ვხვდებით პლაზმურ ტელევიზორს. მოსწავლეებს აქვთ საკუთარი კარადები, რომლებშიც პირად ნივთებს ინახავენ. შენობის IV სართულზე 7 საკლასო ოთახია. სველი წერტილების რაოდენობა აქაც 4 - ია (მათ შორის, 2 მხოლოდ ხელსაბანით). გარდა ამისა, აქ განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ამავდროულად ჭადრაკის კაბინეტის ფუნქციასაც ასრულებს. 3 საკლასო ოთახში ვხვდებით პლაზმურ ტელევიზორებს. ვერანდის კარები აქაც იკეტება. სკოლის შენობის V სართულზე 8 საკლასო ოთახია და ყველა მათგანში პლაზმური ტელევიზორია. სველი წერტილების რაოდენობა ანალოგიურია, რაც III და IV სართულებზე. **<u>V სართულზე განთავსებულ ერთ საკლასო ოთახს, ვერანდაზე გასასვლელი კარები არ ეკეტება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კარებზე დამონტაჟდეს საკეტი.</u>** VI სართულზე 4 საკლასო ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ჭადრაკის კაბინეტის ფუნქციასაც ითავსებს და მოსასვენებელი სივრცე, სადაც სკოლის მოსწავლეებს საშუალება ექნებათ კომუნიკაცია ჰქონდეთ ერთმანეთთან. ყველა კაბინეტში განთავსებულია პლაზმური ტელევიზორები. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია საკმაოდ მოცულობითი სასადილო, ასევე სამზარეულო. აქვეა ადაპტირებული სველი წერტილი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს შენობის სარდაფი და ნახევარსარდაფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ნახევარსარდაფში სამხატვრო სახელოსნოებია განლაგებული. აღსანიშნავია, რომ ნახევარსარდაფს აქვს ბუნებრივი განათება. აქვეა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაც. სკოლის სპორტული მოედნები შენობის შიდა ეზოშია განთავსებული. სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტები, რომლებიც საკმაოდ მოცულობითია და ხელმისაწვდომია შენობის ყველა სართულზე. სპეციალური ლიფტი დამონტაჟებულია შშმ პირთათვის.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, საირმის ქუჩა N39
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**01.10.14.024.029**
კვ.მ.	**3027,77**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; • შენობის აზომვითი ნახაზი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული, ერთადგილიანი მერხები და სკამები - თითოეულში 13-13 (სულ 351 ერთეული). ყველა საკლასო ოთახში არის თეთრი, მაგნიტური დაფები. საკლასო ოთახების ნაწილში განთავსებულია პლაზმური ტელევიზორები. საკლასო ოთახები კეთილმოწყობილია და ქმნის სასწავლო პროცესისათვის კომფორტულ გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ნულ სართულზე განთავსებულია ორი დახურული სპორტული დარბაზი და ერთი, ნახევრადღია სპორტული მოედანი. სპორტულ დარბაზებთან განთავსებულია გასახდელები როგორც გოგონებისათვის, ისე ვაჟებისთვის. აქვეა სპორტული ინვენტარი - ბურთები, ფარები, ჩოგბურთის მაგიდა და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • მატერიალური რესურსის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რომელთა ნაწილი კარადებშია განლაგებული. ქიმიური რეაქტივები ინახება დაცულ ადგილას და იკიტება. მულიაჟები, ხელსაწყოები და სხვა ინვენტარის ნაწილიც სათავსოებშია მოთავსებული. ლაბორატორიაში ვხვდებით სველ წერტილსაც, აგრეთვე, გამწოვს. მასში განთავსებულია ცეცხლგამძლე ზედაპირიანი მაგიდაც, რომელიც გამოიყენებს ცდებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის შენობაში ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლას მიეწოდება ელექტროენერგია. სკოლის შენობაში მოწყობილია ცენტრალური გათბობის სისტემა. გათბობის ქვაბები განლაგებულია სკოლის ეზოში, დაცულ შენობებში (სულ 2). სკოლის ყველა სართულზე ვხვდებით სველ წერტილებს. სასწავლო სართულებზე 4-4 სველი წერტილია, ამათგან 2-ში მხოლოდ ხელსაბანებია განთავსებული. სველი წერტილები აღჭურვილია ცხელი წყლით, ქაღალდის ხელსახოცებით, დისპენსერებით და სადეზინფექციო საშუალებებით. სკოლის პირველ სართულზე ადაპრიტებული სველი წერტილია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა. სივრცე ნათელია და კომფორტულად არის მოწყობილი. წიგნები განთავსებულია თაროებზე. აქვე ვხვდებით სამკითხველო დარბაზს. სკოლის ბიბლიოთეკაში 800 ერთეული წიგნია. სკოლა იყენებს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემას OpenBiblio. თუმცა, როგორც ვიზულური დათვალიერებისას აღმოჩნა, წიგნები არ არის ბოლომდე აღრიცხული. ბიბლიოთეკარის განმარტებით, პროცესი დასრულების ეტაპზეა. სკოლას, ამ ეტაპზე, არ აქვს გამოწერილი პერიოდული გამოცემებიც. ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის მიერ შერჩეული, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. როგორც გაირკვა, როგორც ქართულ, ისე რუსულ სექტორზე, ყველა ეგზემპლიარი არ ჰქონდა შეძენილი დაწესებულებას (ინტერვიუირებისას სკოლის ბიბლიოთეკარმა აღნიშნა, რომ საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემთხვევაში, გეგმავდნენ ელექტრონული ვერსიების გამოყენებას). ვიზიტის მეორე დღეს, სკოლამ წარმოადგინა ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. რაც შეეხება რუსულ სექტორს, სკოლის დირექციის განმარტებით, მიუხედავათ მცდელობისა, მათ ვერ მოახერხეს მათი ნაწილის შეძენა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შპს ,,საგანმანათლებლო ცენტრის სკოლა პროექტორი“ ბიბლიოთეკის დებულება. რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის მიზნებს და ამოცანებს, ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპებს. დოკუმენტის მე - 7 მუხლი არაგულირებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს. სამკითხველო დარბაზით სარგებლობის წესები გაწერილია მე -8 მუხლში. სწორედ ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესში გაწერილია, რომ: • ბიბლიოთეკაში დაცულ თითოეულ წიგნს ენიჭება საინვენტარო ნომერი, ინდექსი და ესმება სკოლის ბეჭედი პირველ და მე-17 გვერდზე. • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც აღინიშნება: ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, ინდექსი, გამოცემის წელი, გამოცემის ადგილი, წიგნის ღირებულება (ფასი) და შენიშვნა. • ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი რეგისტრირდება სპეციალურ პროგრამა „Open Biblio”-ში და ა.შ. ***<u>ვინაიდან, სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის სასკოლო-სასწავლო გეგმის შესაბამისი სასკოლო სახელმძღვანელოები (რუსული სექტორი), გარდა ამისა, არ არის სრულად აღრიცხული და დამუშავებული კანონით დადგენილი წესით (არ აქვს მიანიჭებული საინვენტარო ნომერი, არ არის დაამოწმებული შესაბამის გვერდზე ბეჭდით და ა.შ) არსებული წიგნადი ფონდი, სკოლის ბიბლიოთეკა ვერ აკმაყოფილებს ქვესტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.</u>***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. სკოლის შესასვლელი არის პირდაპირ სავალი ნაწილის დონე და არ საჭიროებს პანდუსს. სკოლის შენობაში მარჯვნივ და მარცხნივ დამონტაჟებულია ლიფტი. ასევე, მე-5 სართულიდან მე-6 სართულზე (ვერანდაზე) ასასვლელად დამონტაჟებულია ღია ტიპის სატვირთო ლიფტი. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული სველი წერტილები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. გაფორმებულია ხელშეკრულება edu.page - თან, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ელ. ჟურნალთ სარგებლობას, ასევე ვებ . გვერდის სივრცეს. სკოლას აქვს ვებ.გვერდი www. Projector-scool.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. სოციალური გვერდი და მეილი: info@p-s.ge სკოლას აქვს 34 ერთეული ლეპტოპი, 4 ერთეული პროექტორი, 20 ცალი პლაზმური ტელევიზორი, 4 პროექტორი, 10 კომბაინი, 2 პრინტერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება edupage-ის; • ვებ, გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ყველა სართულზე აქვს დამონტაჟებული კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორები, 3-3 გადატვირთული ცეცხლმაქრი-სულ 49 და საავარიო შეტყობინების ღილაკი. სკოლას ჰყავს უსაფრთხოების თანამშრომელი და ის თვალყურს ადევნებს პირველ სართულზე განთავსებულ ელექტრო პანელურ დაფას, რომელიც ხანძრის კერის არსებობის შემთხვევაში ანათებს კონკრეტული ადგილის მითითებით. ასევე კანონმდებლობთ გათვალისწინებული წესით, შსს - თან შეთანხმებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა და თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული შტაბი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შესყიდვების დოკუმენტაცია; • საგანგებო მართვის გეგმა; • ინტერვიუ უსაფრთხოების სამსახურთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და განთავსებულია მიმანიშნებლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო ინვენტარი და პირველადი მოხმარების მედიკამენტები, რომლებიც შესაბამისია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნებისა. ასევე სკოლას ჰყავს ექიმი და შემუშავებული აქვს ექიმის დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • ექიმის დებულება; • ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია; ანგარიშფაქტურები;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად გაგზავნილი და მიღებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან პასუხი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმების შესახებ. სამინისტრო ვერ ითანხმებს, ვიდრე სკოლა არ იქნება ავტორიზებული. ვიდრე მოხდება შეთანხმება, სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრანებით. სკოლას ჰყავს დაცვის თანამშრომლები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • ხალშეკრულება დაცვის თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 30 ვიდეო კამერა, თუმცა ეს რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს სკოლის კიბის უჯრედებში სრულ ვიზუალურ ჩვენებას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში მათ შეიძინეს 10 ვიდეო კამერა (დირექტორის განცხადებით), თუმცა ვერ დაამონტაჟეს. გარე პერიმეტრი კონტროლდება კანონმდებლობის შესაბამისი პარამეტრების 2 ვიდეო კამერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კამერების შესყიდვების დოკუმენტაცია.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი, დებულება და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. დოკუმენტების აღწერილობა სრულად შეესაბამება რეალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • წესდება; • დებულება; • სსგ; • საქმისწარმოების წესი; • და სხვ.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმა, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენების მექანიზმებს. შემუშავებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიაც. ექსპერტთა ინტერესი გამოიწვია დოკუმენტის შემუშავების პროცესმა. მეთოდოლოგიის პირველი ეტაპი ითვალისწინებს სკოლის შესახებ მოგროვებული ინფორმაციის გაანალიზებას და SWOT ანალიზის დოკუმენტის შექმნას. ამ დოკუმენტში გაწერილი სუსტი მხარეები არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჯერ არ არსებული სკოლის გასაუმჯობესებელი. მაგ: • სწავლის პროცესში მოსწავლეების დამოკიდებლად მუშაობის ხარისხის გაზრდა; • სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა; ექსპერტთა შეკითხვებზე შეუსაბამო პასუხები გასცეს სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაში მონაწილე ჯგუფის წევრებმა, რომლებიც სკოლის დირექტორის ბრძანებით იყვნენ განსაზღვრულნი. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ინფორმაციის ანალიზი არ ასახავდა რეალურ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმების სკოლის მიერ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით შემუშავება დგება ეჭქვეშ და არ ითვალისწინებს არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსის ეფექტურად გამოყენებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა; • გასაუბრება სტრატეგიული განვითარების ჯგუფთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს შემუშავებილი და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ,,საქმისწარმოების ერთიანი წესი“. საქმისწარმოება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად. სკოლაში არსებობს გამოცემული ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და აღრიცხვა. საერთო და საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები, სადაც ტარდება ყველა გამოცემული აქტი. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. შემოსული და გასული კორესპონდენციები აღირიცხება კალენდარული წლის მიხედვით. დოკუმენტაცია ფორმდება სპეციალურ სკოლის ბლანკზე, რაზეც მითითებულია სკოლის დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი. ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • შემოსული და გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; • საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი; • საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	• *სრულად შეავსოს სასკოლო სახელმძღვანელოებით ბიბლიოთეკა (რუსული სექტორი), აღრიცხოს არსებული წიგნადი ფონდი და დაამუშავოს ის კანონით დადგენილი წესით (მიანიჭოს საინვენტარო ნომერი, დაამოწმოს შესაბამის გვერდზე ბეჭდით და ა.შ).* • *სკოლამ კიბის უჯრედებში დაამონტაჟოს ვიდეო კამერები, რათა სრულად მოხდეს სკოლის შიდა პერიმეტრის გაკონტროლება;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• *იხელმძღვანელოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (ᲡᲜ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ თავი III. საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობები, 2. ბავშვთა და სასკოლო დაწესებულებების სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს 3 მიწისზედა სართულს.*
რჩევები:	
ხარვეზები:	• *დარღვეულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (ᲡᲜ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ თავი III. საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობები, 2. ბავშვთა და სასკოლო დაწესებულებების სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს 3 მიწისზედა სართულს.* • *ბიბლიოთეკა სრულად არ არის აღჭურვილი ესგ - შესაბამისი წიგნადი ფონდით; აღრიცხოს და დაამუშავოს ის კანონით დადგენილი წესით (მიანიჭოს საინვენტარო ნომერი, დაამოწმოს შესაბამის გვერდზე ბეჭდით და ა.შ).* • *სკოლის შენობის შიდა პერიმეტრი (კიბის უჯრედები) სრულად ვერ კონტროლდება;*
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლას ჰყავს 56 პედაგოგი და სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საშტატო განრიგი; • ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**56**
მოწვეული/მაძიებელი	**28**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	
უფროსი მასწავლებლი	**25**
წამყვანი მასწავლებლი	**3**
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	კანონმდებლობის გათვალისწინებით მასწავლებელთა შერჩევის მიზნით, სკოლამ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრა მასწავლებელთა მისაღებად საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვაკანსიები გამოაცხადა jobs.ge-ზე, თუმცა მასწავლებელთა შერჩევის დროს თავად დაარღვია საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული ვალდებულებები. კერძოდ: ერთ-ერთი საკვალიფიკაციო მოთხოვნა იყო რუსული ენის ცოდნის ვალდებულება და ამის დასადასტურებლად მტკიცებულების წარმოდგენა (სერტიფიკატი, სტატია და ა.შ), მათ შორის ქართული სექტორის მასწავლებლებისთვისაც. ეს პუნქტი მასწავლებელთა შერჩევის დროს იქნა დარღვეული და ზოგიერთი აპლიკანტი ამ მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე დაიბარეს გასაუბრებაზე. ასევე, დაფიქსირდა ბიოლოგიის მასწავლებლის (რუსულ სექტორზე)- ა.წ.-ს აყვანასთან დაკავშირებით ხარვეზი. მასთან ხელშეკრულება გაფორმებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კონკურსის გარეშე (არც გამოუცხადებია სკოლას კონკურსი და არც მიუღია შესაბამისად მონაწილეობა პედაგოგს, რითაც ირღვევა საჯაროობისა და ობიექტურობის პრინციპი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 174/ნ ბრძანება და სკოლის შინაგანაწესი (თანამშრომლის მიღების წესი). ა.წ-თან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მას არ ჰქონდა კონკურსში მონაწილეობა მიღებული და ხელშეკრულებასაც (რომელიც გაფორმებული იყო სკოლასა და ა.წ-ს შორის) არ იცნობდა, რადგან არც უნახავს, თუმცა ხელშეკრულება იყო ხელმოწერილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კონკურსის ოქმები; • საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • კონკურსის ჩატარების ოქმები; • ბიოლოგიის მასწავლებელთან ა.წ-თან გაფორმებული ხელშეკრულება; • გასაუბრება დირექციასთან და მასწავლებლებთან.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესი. შინაგანაწესში დაწვრილებით არის გაწერილი მიღების წესი. კონკურსის ეტაპები. სკოლაში იმოქმედებს წახალისებისა და სანქცირების გამჭვირვალე სისტემა. დეტალები გაწერილია შინაგანაწესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • კონკურსის ჩატარების წესი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში არ არის გამიჯნული რუსული და ქართული სექტორის მასწავლებლები. ასევე ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია მასწავლებლის არ არსებული სტატუსები. მაგ: თ. კ. - სერტიფიკატი არ არის და გაუგებარია არის თუ არა იმ სტატუსის მატარებელი; მ. ტ-სთან გაფორმებულია უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება - თუმცა არ აქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი და სქემაში ჯერ ჩართული არ არის და არ აქვს მინიჭებული შესაბამისი სტატუსი; თ.ბ - თან, გ.თ-თან , ს. ჯ - თან გაფორმებულია უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება, თუმცა პედაგოგი ჯერ არ არის ჩართული სქემაში და არ აქვს მინიჭებული ზემოაღნიშნული სტატუსი და ა.შ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მასწავლებელთა დიდ ნაწილთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2022 წლის დეკემბერში. ხელშეკრულების 9.3 პუნქტში იკითხება, რომ ,,ხელშეკრულების ამოქმედებიდან 6 თვიანი პერიოდი არის გამოსაცდელი. იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული წარმატებით გაივლის გამოსაცდელ ვადას, მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება 2023 წლის 16 დეკემბრამდე“. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ მათთვის უცნობი იყო ის კრიტერიუმები, რითიც მოხდება წარმატებული საქმიანობის განსაზღვრა მით უფრო იმ პერიოდში, როდესაც სკოლას ჯერ არ აქვს მინიჭებული სტატუსი და სასწავლო პროცესი არ ფუნქციონირებს. თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი კანონმდებლობის შესაბამისად უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; • თანამშრომელთა პირადი საქმეები; • გასაუბრება მასწავლებლებთან.
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და შეფასების ჯგუფი და გაწერილია ჯგუფის დებულება. შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, რომლის მიზანია კვალიფიციური კადრის მოზიდვა და ჩამოყალიბება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხარისხის განვითარებისა და შეფასების ჯგუფის დებულება; • ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები; • ინტერვიუ, გასაუბება თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობისა და კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს შეუწყობს თითოეული თანამშრომლის პოტენციალის გამოვლენას. სკოლა ცდილობს უზრუნველყოს საჭირო რესურსებით. სკოლაში არის საშუალება სასკოლო კლუბების მუშაობისა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • გასაუბრება/ინტერვიურება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	მასწავლებელთა სკოლაში შერჩევა მოხდეს კანონმდებლობის შსაბამისად; ხელშეკრულებები გაფორმდეს კანონმდებლობის შესაბამისად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	• დარღვეულია მასწავლებელთა შერჩევის წესი; • დარღვეულია მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების წესი;
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☒ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

....

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი: 15/05/2023წ.
გვერდების რაოდენობა: 45 (ორმოცდახუთი) გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.